საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N174 2026 წლის 26 იანვარი ქ. თბილისი

ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფციის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფცია“.

2. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, შესაბამის სამინისტროებთან და საჯარო დაწესებულებებთან ერთად, უზრუნველყოს, „ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფციით“ გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

დანართი

ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფცია

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა კომპლექსური გამოწვევების წინაშე დგას. არსებული სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს ისეთი განათლების მიწოდებას, რომელიც მოსწავლეს ჩამოაყალიბებს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პასუხისმგებლობის მქონე, კონკურენტუნარიან მოქალაქედ.

2024 წელს, ზუსტად 20 წლის შემდეგ, განახლდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი. ის ასახავს იმ ღირებულებებსა და საკვანძო პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც უნდა განხორციელდეს განათლების სისტემის განვითარება. აღნიშნული მიზნების თანახმად, სკოლამ, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს ისეთი მოქალაქის აღზრდა, რომელიც უპასუხებს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყაროს გამოწვევებს. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ეფუძნება შემდეგ პრიორიტეტებს:

- ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და გადაცემის უზრუნველყოფას;
- სახელმწიფო ენის, კულტურისა და ისტორიის ღრმა ცოდნასა და პატივისცემას;
- კულტურული მრავალფეროვნების აღქმას, პატივისცემასა და ინტეგრაციის უნარს გლობალური სივრცის პირობებში;
- სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი ცნობიერების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელსაც გათავისებული აქვს როგორც უფლებები, ისე პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე;
- საკვანძო კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას, რაც გულისხმობს კრიტიკულ აზროვნებას, კომუნიკაციას, პრობლემის გადაჭრის უნარსა და შემოქმედებითობას;
- მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობას – ემოციური ინტელექტის, თანამშრომლობის უნარისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განმტკიცებას;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის სწორი ხედვისა და გეგმის შესამუშავებლად, მნიშვნელოვანია, მართებულად განისაზღვროს თითოეული გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას ზოგადი განათლება:

1. **საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი.** საქართველოში ზოგადმა განათლებამ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა: ეროვნულ დონეზე პირველად შეიქმნა ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტები - ეროვნული სასწავლო გეგმა; სასწავლო პროგრამას დაემატა ახალი სავალდებულო და არჩევითი საგნები, დაინერგა ინოვაციური მოდულები, ბავშვის უფლებებზე ორიენტირებული მიდგომები, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და სხვა. თუმცა, განათლების მთავარი მისია – სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პასუხისმგებლობის მქონე და აქტიური მოქალაქის

აღზრდა – გამოწვევად დარჩა. სწავლა-აღზრდის ერთიან პროცესში, პრაქტიკულად, ნაკლები დრო რჩება აღმზრდელობითი კომპონენტისთვის. გადატვირთული საგნობრივი პროგრამებისა და საათობრივი ბადის, განმსაზღვრელი აკადემიური შეფასების დომინირების ფონზე, სკოლას აღარ რჩება რესურსი ბავშვის პიროვნული, ღირებულებითი და სამოქალაქო განვითარების უზრუნველსაყოფად.

ამჟამად, გამოწვევად რჩება სასწავლო შინაარსების არათანაბარი გადანაწილება, ჭარბი აკადემიური დატვირთვა, ნაკლები ინტერაქცია და პრაქტიკული გამოცდილება. სკოლის საბაზო საფეხური ყოველთვის ვერ ქმნის ისეთ გარემოს, სადაც მოსწავლე იღებს აუცილებელ ცოდნასა და ზოგად უნარებს. ვერ ხდება მოსწავლის პროფესიული ორიენტაცია, შესაბამისად, მოსწავლეს უჭირს საშუალო საფეხურზე საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების სწორად იდენტიფიცირება, რაც ხელს უშლის სკოლის მხრიდან მისი პროფესიული ან აკადემიური არჩევანის მხარდაჭერას.

2. **სასწავლო რესურსები.** თავისუფალმა და კონკურენციის ხელშეწყობის პოლიტიკამ ვერ უზრუნველყო ისეთი მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოების შექმნა, რომლებიც მოსწავლეს მისცემს თითოეული საგნისთვის აუცილებელ საბაზო ცოდნას, განუვითარებს სისტემური აზროვნებისა და ღრმა გაგების უნარს. დღეს სახელმძღვანელოთა ნაწილი მოსწავლეს მხოლოდ ფრაგმენტულად აწვდის სასწავლო მასალას. სასწავლო რესურსები მოკლებულია შინაარსობრივ მთლიანობასა და სისტემურ თანმიმდევრობას, რაც ვლინდება საფეხურებსა და საგნებს შორის სუსტი კავშირებითა და ინტეგრაციის დაბალი ხარისხით. სახელმძღვანელოები უმეტესწილად ჩამოშორებულია სახელმწიფოებრივი ხედვისა და ეროვნული იდენტობის ღირებულებით საფუძვლებს. ამასთან, ერთსა და იმავე კლასში, ერთსა და იმავე საგანში გვაქვს რამდენიმე სახელმძღვანელო, რაც ვერ უზრუნველყოფს ვერც ერთიან მიდგომას და ვერც სწავლის თანაბარ ხარისხს.

3. **სასკოლო ცხოვრება.** თანამედროვე სკოლაში სასწავლო პროცესი უმეტესწილად ორიენტირებულია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგების ფორმალურ შესრულებაზე, საათობრივ ნორმებსა და შეფასების პროცედურებზე. მიუხედავად ცალკეული ინიციატივებისა, სასკოლო ცხოვრება, ხშირ შემთხვევაში, ვერ სცდება კლასის სივრცეს და სრულყოფილად ვერ პასუხობს ბავშვის ინტერესებს, შემოქმედებით პოტენციალსა და სოციალური უნარების განვითარებას. შედეგად, განსაკუთრებით მაღალ კლასებში, მოსწავლეთა მოტივაცია იკლებს, სწავლა აღიქმება როგორც ვალდებულება და არა პიროვნული თვითშეცნობის პროცესი. ამასთანავე, მოსწავლეების დიდი ნაწილი სკოლის გარეთ ეძებს თვითრეალიზაციის სივრცეს. ეს მომსახურება ხშირად ფინანსურად და გეოგრაფიულად არ არის ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის, რაც ზრდის სოციალურ უთანასწორობას.

4. **კავშირი განათლების საფეხურებს შორის.** განათლების სისტემის ერთ-ერთი გამოწვევაა ურთიერთკავშირის ნაკლებობა განათლების სხვადასხვა საფეხურს – სკოლამდელ და ზოგად განათლებას, ზოგადსა და პროფესიულ თუ უმაღლეს განათლებას შორის. ეს ქმნის ფრაგმენტულ სისტემას, სადაც განათლება აღარ არის უწყვეტი პროცესი.

ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს სკოლამდელ და ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურებს შორის უწყვეტობის დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ განათლების პროცესი იწყება სკოლის ეტაპამდე და მოითხოვს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სასკოლო მზაობის უზრუნველყოფას, პრაქტიკაში ეს მიდგომა ხშირად ვერ ხორციელდება. ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სკოლაში სწავლას იწყებენ 6 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთაც შესაძლოა, არ ჰქონდეთ საკმარისი სოციო-ემოციური და ყურადღების კონცენტრაციის სათანადო დონეზე განვითარებული უნარი. ეს ფაქტორი კიდევ უფრო ართულებს სწავლა-სწავლების პროცესს, აფერხებს მოსწავლის ადაპტაციას სკოლაში, აქვეითებს მის თვითშეფასებას და ზრდის სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბების რისკს.

სასკოლო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება საშუალო საფეხურზე, სადაც მოსწავლე უნდა ემზადებოდეს პროფესიული ან უმაღლესი განათლების მისაღებად. სწორედ ამ ეტაპზე მოსწავლის მხრიდან სპონტანურად გადაწყვეტილების მიღების პრობლემა წარმოიქმნება. დამამთავრებელ კლასებში სწავლების პროცესი ხშირად კარგავს სკოლასთან კავშირს. გამოწვევაა ეროვნული გამოცდებისა და სასკოლო პროგრამების თანხვედრის არარსებობა, რის გამოც მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო რეპეტიტორებთან ცდილობს ცოდნის მიღებას.

ამასთანავე, სკოლა ვერ სთავაზობს მოსწავლეს პროფესიული განათლების მხარდამჭერ მექანიზმებს: არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროფორიენტაციის სისტემა, კარიერის დაგეგმვის სერვისები, ინდივიდუალური კონსულტაციები ან პროფესიული პრაქტიკის გამოცდილება.

5. მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარების სისტემა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა, მიუხედავად მისი მასშტაბურობისა, ბოლომდე ვერ პასუხობს მასწავლებელთა რეალურ საჭიროებებს. მასწავლებელთა რესურსის თვალსაზრისით, გარკვეული დისციპლინების მიმართულებით, ქვეყანაში საკადრო სიჭარბე შეიმჩნევა, მაშინ, როდესაც ზოგიერთ დისციპლინაზე ხშირად კვალიფიციური კადრების დეფიციტია. ასევე დიდი გამოწვევაა მაღალმთიანი და შორეული ბარის სოფლის სკოლებში დასაქმების მიზნით მასწავლებელთა კადრების მოზიდვა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების არსებული პროგრამები და გადამზადების მექანიზმები ხშირად ვერ პასუხობს ვერც მასწავლებლის და ვერც სკოლის საჭიროებას. საგნობრივი და მეთოდური გადამზადება, მასწავლებელთა კარიერული წინსვლის მექანიზმები უმეტესწილად მორგებულია მოკლევადიან საჭიროებებზე და არ არის ორიენტირებული გრძელვადიან პროგნოზებსა და შრომის მოთხოვნებზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი საგნების დანერგვასა და ამ მიმართულებით მასწავლებლების გადამზადებას, მაშინ, როდესაც შედარებით ნაკლები სისტემური მხარდაჭერა აქვს საგნებს: ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას, გეოგრაფიას, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას. გამოწვევაა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა

ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრის პროცესის განხორციელება, რომელიც დაკავშირებული იქნება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებასა და სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებასთან. შესაბამისად, ვერ ხერხდება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეფექტური მოდელების ამოქმედება და, ძირითადად, სკოლები გარე სერვისებზე არიან დამოკიდებული.

6. **სასწავლო გარემო.** ბოლო წლებში სასკოლო ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებული ასობით პროექტის მიუხედავად, სწავლისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა დღესაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. დიდ ქალაქებში სკოლები ხშირად გადატვირთულია მოსწავლეებით. დემოგრაფიული შემცირების, მოსახლეობის ურბანულ ცენტრებში გადინების პარალელურად სოფლებსა და მცირე დასახლებებში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული რესურსი კლებულობს. ამასთანავე, სისტემაში მწვავედ დგას სპორტული ინფრასტრუქტურის, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების, კვების ობიექტების, კეთილმოწყობილი საერთო სივრცეებისა და ადაპტირებული გარემოს დეფიციტი, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს როგორც სასწავლო პროცესის ხარისხზე, ისე მოსწავლეთა კეთილდღეობასა და მასწავლებელთა სამუშაო გარემოზე. ეს, თავის მხრივ, აფერხებს სწავლების ინოვაციური მიდგომების დანერგვას და ვერ ქმნის იმ სივრცეს, რომელიც სრულყოფილად შეუწყობს ხელს ბავშვის აკადემიურ, სოციალურ და ფიზიკურ განვითარებას. უსაფრთხო სკოლის კონცეფციის არსებობის მიუხედავად, კვლავაც სახეზეა ბულინგის პრევენციისა და მოსწავლეთა შესაბამისი ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესების საჭიროება.

7. **სასწავლო პროცესის ინკლუზიურობა.** ინკლუზიური განათლების კონცეფციის დანერგვამ, სამართლებრივი და ადმინისტრაციული საფუძვლების გაჩენამ, რომლის მიხედვითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს მიეცათ შესაძლებლობა, სრულად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და მიიღონ მათ ინდივიდუალურ საჭირობებზე მორგებული მომსახურება, გაზარდა განათლების ხელმისაწვდომობა. თუმცა, განათლების სისტემამ სრულად ვერ უზრუნველყო საჭირო რაოდენობისა და კვალიფიკაციის სპეციალისტთა მოზიდვა და ეფექტიანი განაწილება, რაც აუცილებელია ინკლუზიური განათლების სრულფასოვნად განხორციელებისთვის. სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგები, ქცევისა და მეტყველების თერაპევტები და სხვა სპეციალისტები, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. ამასთანავე, პროფესიული მხარდაჭერის, სუპერვიზიისა და კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმები ფრაგმენტულია და ინსტიტუციურ სისტემატიზაციას საჭიროებს.

8. **მართვისა და დაფინანსების სისტემა.** სკოლების მხარდაჭერის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო რესურსცენტრებს, რომლებიც ამ ეტაპზე მუნიციპალურ დონეზე სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფენ სკოლების მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას და საჭიროებენ ინსტიტუციურ გაძლიერებას.

დღევანდელი სასკოლო დაფინანსების სისტემა არსებითად ეფუძნება ერთ პრინციპს – სკოლები ვაუჩერულ დაფინანსებას მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით იღებენ.

თეორიულად, ეს უზრუნველყოფს სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, თუმცა, პრაქტიკაში სრულფასოვნად არ ასახავს საჯარო სკოლის რეალურ საჭიროებებს. შედეგად, სკოლების ნაწილი ფუნქციონირებს მინიმალური რესურსებით და ვერ ახერხებს მოსწავლეებისთვის დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზებას, მათ შორის, არაფორმალური განათლების მიმართულებით.

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის განსახორციელებლად განისაზღვრა შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. ფუნდამენტურ ცოდნასა და ღირებულებებზე დამყარებული სასწავლო შინაარსი. ზოგადი განათლების შინაარსის განვითარების პროცესში სასწავლო პროგრამების რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება იქნება ფუნდამენტური საგნების სწავლების გაძლიერება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე, ვინაიდან ისინი ასრულებენ ძირითად როლს ეროვნული თვითმყოფადობის, ისტორიული მეხსიერებისა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. სახელმწიფო ენის სწავლება გახდება არა მხოლოდ ლინგვისტური უნარების, არამედ კულტურული აზროვნებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების განმტკიცების მექანიზმი. საკვანძო მიმართულება ასევე იქნება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის – სწავლების გაძლიერება.

სკოლის დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები) მოსწავლეებში ჩამოყალიბდება კითხვის, წერისა და მათემატიკური აზროვნების საფუძვლები. სკოლის საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასები) სწორად გადანაწილდება სასწავლო პროგრამის შინაარსი და ჭარბი აკადემიური დატვირთვა ჩანაცვლდება ინტერაქციური სწავლითა და მრავალფეროვანი გამოცდილების მიღებით, რაც 9 წლის განმავლობაში სრულად უზრუნველყოფს ფუნდამენტური კომპეტენციების განვითარებას. სკოლის საშუალო საფეხურზე (X-XI კლასები) სასწავლო პროგრამები გახდება მიზანმიმართული, პროფილური სწავლების პრინციპზე დაფუძნებული და სინქრონიზებული აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებთან.

ეროვნული გამოცდები სრულ თანხვედრაში მოვა ეროვნული სასწავლო გეგმის სასწავლო შინაარსთან. ამ პროცესის მხარდასაჭერად, XI კლასში უზრუნველყოფილი იქნება სკოლაში ორგანიზებული რეპეტიტორიუმი, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, სრულფასოვნად მოემზადონ ეროვნული გამოცდებისთვის. აღნიშნული სიახლე შეეხება იმ მოსწავლეებს, რომლებიც XI კლასს დაასრულებენ 2027-2028 სასწავლო წელს.

ამასთან, XII კლასის შესაძლებლობა დარჩება ნებაყოფლობითი იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც დამატებით მოისურვებენ აკადემიური მზადყოფნის განმტკიცებას. XII კლასში სწავლა წარიმართება წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის მორგებას მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე, ხოლო სკოლებს მისცემს შესაძლებლობას, ეფექტიანად დაგეგმონ საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსი.

2. **სისტემური და განახლებადი რესურსები.** განხორციელდება სასკოლო სახელმძღვანელოების ძირეული გადახედვა, რაც გულისხმობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმძღვანელოების შემუშავებას, იმ პრინციპით, რომ უზრუნველყოფდეს ცოდნის სიღრმეს, სისტემურ აზროვნებასა და ეროვნული და მოქალაქეობრივი ღირებულებების გააზრებას. გარდა ამისა, სახელმძღვანელო იქნება მუდმივად განახლებადი და მოქნილი, რაც საშუალებას მისცემს განათლების სისტემას, დროულად უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს.

ერთი სახელმძღვანელოს პრინციპის შემოღება უზრუნველყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს ქვეყნის ზოგადი განათლების სისტემისთვის – გარანტირებულად გაზრდის ხარისხიან საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, გაამარტივებს მოსწავლის ადაპტაციას მობილობის პროცესში, უზრუნველყოფს განათლების საფეხურებსა და საგანთა შორის ძლიერ კავშირებს. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ეროვნულ დონეზე მიღწეული შედეგების შედარებითობას.

ვინაიდან ცოდნის მოცულობა და ტექნოლოგიები დინამიკურად იცვლება, სასწავლო პროცესი უფრო მეტად შეიძენს ინტერაქტიურ, შემოქმედებით და მრავალმხრივ კომუნიკაციურ ხასიათს. გამოყენებული იქნება არა მხოლოდ ბეჭდური სახელმძღვანელო, არამედ ვიდეორესურსები, ციფრული სიმულაციები, კვლევითი ამოცანები, მონაცემთა რეალური ანალიზი, ვირტუალური პლატფორმები და სხვა თანამედროვე შესაძლებლობები.

3. **მრავალფეროვანი სასკოლო კულტურა.** არაფორმალური განათლება ინტეგრირდება არა დამატებით, არამედ სასკოლო ცხოვრების ორგანულ ნაწილად. მოსწავლის ინტერესების, შემოქმედებითი უნარების, სოციალური პასუხისმგებლობისა და პიროვნული თვითგამოხატვის განვითარების უზრუნველსაყოფად, სკოლებში სისტემურად წახალისდება და მხარდაჭერილი იქნება სასკოლო კლუბები, მათ შორის, ღირებულებითი განათლების მიმართულება. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება სკოლის მიღმა არსებული სპორტული და შემოქმედებითი მომსახურებების კონცენტრირებას სკოლის შიგნით, რაც უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბარ შესაძლებლობებს. აქცენტი გაკეთდება სასკოლო ბანაკების, თემატური შეკრებებისა და პროექტების სისტემურ განვითარებაზე, რაც მოემსახურება კულტურული მრავალფეროვნების, ტოლერანტობის, ემპათიისა და ისტორიული თვითშეგნების გაღრმავებას.

4. **განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა.** განახლებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს ბავშვის განვითარების იმ მინიმალურ კომპეტენციებსა და უნარებს, რომლებიც სასკოლო პროცესში ჩართვისთვის აუცილებელია. ამასთანავე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების, მისი სოციალურ-ემოციური მზაობისა და განვითარების ტემპის გათვალისწინებით, დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი განისაზღვრება 6

წლით. ეს გულისხმობს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას 15 სექტემბრის ჩათვლით შეუსრულდა 6 წელი.

ასევე დამატებითი ცვლილება იქნება პირველკლასელთა რეგისტრაციის პროცესში. კერძოდ, საყოველთაო რეგისტრაციის ეტაპის დაწყებამდე, ბავშვის ჩარიცხვა განხორციელდება სარეგისტრაციო მისამართის მიხედვით. 2026-2027 სასწავლო წლის პირველკლასელთა რეგისტრაციისას აღნიშნული დამატებითი ეტაპი მხოლოდ დიდ ქალაქებს შეეხება, ხოლო მომდევნო პერიოდებიდან ყველა სკოლას მოიცავს.

სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე უზრუნველყოფილი იქნება ისეთი გარემო, სადაც მოსწავლე მიიღებს სისტემურ ცოდნას და შეძლებს პროფესიული თუ აკადემიური მიმართულებით თვითგამორკვევას. სკოლებში შეიქმნება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის მართვის სისტემა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება საკუთარი ინტერესებისა და უნარების აღმოჩენაში. სკოლაში გაფართოვდება ინტეგრირებული პროფესიული პროგრამები და დამატებით შეთავაზებული იქნება მოკლევადიანი პროფესიული მომზადების კურსები.

5. **მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა.** კვალიფიციური პედაგოგიური კადრების სისტემაში მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით, შეიქმნება სისტემური, პროგნოზირებადი და რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებას. პედაგოგიური მიმართულების გაძლიერება ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება აკადემიურ სივრცეში.

სისტემური მოდელი გულისხმობს როგორც ახალი კადრების მომზადებას და პროფესიაში შემოსვლის გზების დივერსიფიცირებას, ასევე რეგიონული და საგნობრივი დისბალანსების დაძლევას. სახელმწიფოს ექნება ზუსტი პროგნოზი, თუ რომელ რეგიონს, რომელ საგანში და რა რაოდენობის მასწავლებელი დასჭირდება მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში. ეს პროგნოზი დაეფუძნება დემოგრაფიისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მასწავლებელს ექნება კარიერული წინსვლის მკაფიო ხედვა, რომელიც დაეფუძნება საგნობრივ ექსპერტიზას, კვლევით საქმიანობასა და მართვის/ადმინისტრირების მხარდაჭერას. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშემწყობი მექანიზმები შემუშავდება მასწავლებლის, სკოლისა და განათლების სისტემის საჭიროებიდან გამომდინარე და მასწავლებლებს ექნებათ სისტემური მხარდაჭერა ონლაინსაგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის მიმართულებით; ასევე, პრაქტიკული საქმიანობისგან მოუწყვეტლად, ონლაინ ფორმატში შეძლებენ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის საჭირო მხარდამჭერი სერვისების მიღებას. მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება იქნება მზარდი.

6. **თანამედროვე სასწავლო გარემო.** ინფრასტრუქტურული პოლიტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალი სკოლების მშენებლობით ან რეაბილიტაციით. მნიშვნელოვანია სკოლის სივრცეების გონივრული და მოქნილი ათვისება. სასკოლო

ინფრასტრუქტურა განვითარდება მრავალმხრივი მიდგომით, რომელიც მოიცავს როგორც მასშტაბურ მშენებლობასა და რეაბილიტაციას, ისე რესურსების მიზნობრივ გადანაწილებას. გაგრძელდება სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის თანმიმდევრული, წლიურად დაგეგმილი პოლიტიკის განხორციელება. სკოლებში ჩამოყალიბდება საბაზისო თანამედროვე ინფრასტრუქტურული სტანდარტი, რომელიც მოიცავს: სრულად აღჭურვილ ლაბორატორიებს, გამართულ სპორტულ ინფრასტრუქტურას, ბიბლიოთეკებს, კვების ობიექტებს, არაფორმალური განათლებისთვის კეთილმოწყობილ სივრცეებს, სრულად ადაპტირებულ გარემოს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საკლასო ოთახების აღჭურვაზე თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინტერაქტიური, მრავალფეროვანი რესურსებით.

სწავლაზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლებში შემუშავდება მობილური ტელეფონების გამოყენების წესი, რომლის მიზანია მოსწავლეთა კონცენტრაციის გაძლიერება, კომუნიკაციისა და ქცევის უფრო ჯანსაღი მოდელის ჩამოყალიბება და სასწავლო პროცესის უწყვეტობის დაცვა.

უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად, ბულინგის პრევენციის მიზნით, რეგულარულად განხორციელდება საინფორმაციო კამპანიები მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად, აგრეთვე, მასწავლებლებს მეტი ინტენსივობით ჩაუტარდებათ შესაბამისი გადამზადება ბულინგის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და კონკრეტულ სიტუაციებში სათანადო რეაგირებისთვის. გაიზრდება მანდატურების, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების რაოდენობა და ყველა სკოლა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სერვისით.

7. ინკლუზიურობის უზრუნველყოფა. ინკლუზიური განათლება გახდება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის განუყოფელი ნაწილი, რისთვისაც განხორციელდება სპეციალისტთა მომზადების ინსტიტუციონალიზაცია. ინკლუზიური განათლება ჩამოყალიბდება არა როგორც პარალელური მიმართულება, არამედ როგორც პედაგოგიკის განუყოფელი ნაწილი. ინკლუზიური მიდგომებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენცია ექნება არა მხოლოდ სპეციალურ მასწავლებელს, არამედ თითოეულ საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს, განსაკუთრებით კი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს, რომელთაც ბავშვის განვითარების ინდივიდუალური საჭიროებების ადრეული გამოვლენის შესაძლებლობა აქვთ.

2026-2027 სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მოსწავლეებისთვის სავალდებულო გახდება სასკოლო ფორმის ტარება. სასკოლო ფორმა ხელს შეუწყობს სწავლაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, სასწავლო დაწესებულების მიმართ მიკუთვნებულობის განცდას, მოსწავლეთა შორის სოციალური და ეკონომიკური განსხვავებების ვიზუალურად გამოხატვის შესაძლებლობის შემცირებას.

8. მართვისა და დაფინანსების მოქნილი მექანიზმი. სკოლის გაზრდილ ავტონომიას უკავშირდება ანგარიშვალდებულებისა და მხარდაჭერის სისტემის მდგრადობა. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი მიენიჭება საგანმანათლებლო რესურსცენტრების

ინსტიტუციურ გაძლიერებას. რესურსცენტრი ჩამოყალიბდება როგორც პროფესიული მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც სკოლის დირექტორებს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და მასწავლებლებს უზრუნველყოფს კონსულტაციით, მენტორობითა და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტით.

სკოლების მართვის პროცესში აქცენტი გაკეთდება სასკოლო საზოგადოების – განსაკუთრებით კი მშობელთა როლის გაძლიერებაზე. თანამშრომლობა სკოლასა და ოჯახს შორის ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხრიდან მეტი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, 2026 წლიდან დაიგეგმება მშობლებთან პირდაპირი შეხვედრების ციკლი, რაც უზრუნველყოფს მეტ ღიაობას, გამჭვირვალობასა და მოქნილი რეაგირების მექანიზმების შემუშავებას.

სკოლის დაფინანსების არსებული მოდელი გაუმჯობესდება და გახდება სკოლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და განვითარების შესაძლებლობებზე ორიენტირებული.